Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე No. **ICC-01/15**
თარიღი: **2022 წლის 24 ივნისი**
საჯარო რედაქციის გამოქვეყნების თარიღი: **2022 წლის 30 ივნისი**

პირველი წინასასამართლო პალატა

სხდომის თავჯდომარის, მოსამართლე პიტერ კოვაჩის,
მოსამართლე რაინე ადელაიდე სოფი ალაპინი-განსუს
და მოსამართლე მარია დელ სოკორო ფლორეს ლიერას

თანდასწრებით

საქართველოს სიტუაცია

საჯარო

მიხაილ მაირამოვიჩ მინძაევის დაკავების ორდერის საჯარო რედაქცია

სასამართლოს რეგლამენტის 31-ე წესის თანახმად, გადაწყვეტილება ეუწყებათ:

პროკურორის ოფისს ბ-ნ კარიმ ა. ა. ხანს ქ-ნ ნაზატ შამინ ხანს ბ-ნ ანტონ სტეინბერგს	**დაცვის მხარეს**
დაზარალებულ პირთა იურიდიულ წარმომადგენლებს	**განმცხადებელთა იურიდიულ წარმომადგენლებს**
იურიდიული წარმომადგენლობის არმქონე დაზარალებულ პირებს	**იურიდიული წარმომადგენლობის არმქონე მონაწილეობის/რეპარაციების მსურველ განმცხადებლებს**
დაზარალებულთა საზოგადოებრივი იურიდიული დახმარების ოფისს	**ბრალდებულის საზოგადოებრივი იურიდიული დახმარების ოფისს**
სახელმწიფოთა წარმომადგენლებს	***Amicus Curiae***

სასამართლოს სამდივნოს

სამდივნოს ხელმძღვანელს პიტერ ლუისს	**იურიდიულ წარმომადგენელთა მხარდაჭერის განყოფილებას**
დაზარალებულთა და მოწმეთა განყოფილებას	**დაკავების საკითხთა განყოფილებას**
დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციების განყოფილებას	**სხვებს**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) **პირველი წინასასამართლო პალატა**, რომის სტატუტის (შემდგომში „სტატუტი“) 58-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს დაკავების ორდერს

მიხაილ მაირამოვიჩ მინძაევზე,[1]

რუსეთის მოქალაქეზე, დაბადებულზე 1955 წლის 28 სექტემბერს ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთში; წარსულში მსახურობდა პოლიციის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში და, 2005 წლიდან სულ მცირე 2008 წლის 31 ოქტომბრამდე იყო სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა მინისტრი.[2] ამჟამად იგი სავარაუდოდ ბინადრობს მოსკოვში, რუსეთში.

I. პროცესის ისტორია

1. 2022 წლის 10 მარტს პროკურორის ოფისმა („პროკურორმა“) წარადგინა შუამდგომლობა (შემდგომში „შუამდგომლობა“)[3] ბ-ნი მიხაილ მაირამოვიჩ მინძაევის (შემდგომში ბ-ნი მინძაევი) დაკავების ორდერის გაცემის თაობაზე 2008 წლის 8 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონსა და მის მიმდებარე

[1] ზოგიერთ წყაროში მისი გვარი მითითებულია როგორც “Mindzayev“

[2] ფოტოს სანახავად *ob.,* 58-ე მუხლის შესაბამისად, მიხაილ მინძაევის, გამლეტ გუჩმაზოვისა და დავიდ სანაკოევის დაკავების ორდერებზე პროკურორის შუამდგომლობის დანართი 9ხ, ICC-01/15-34-Conf-Exp (კონფიდენციალური, *ex parte*, მხოლოდ ხელმისაწვდომია ბრალდების მხარისთვის. დანართები 1-5, და 9 საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო დანართები 6-8 კონფიდენციალური, *ex parte* (ტექსტის საჯარო რედაქცია იმავე დღეს გავრცელდა, ICC-01/15-34-Red).

[3] პროკურორის შუამდგომლობა, 58-ე მუხლის შესაბამისად, მიხაილ მინძაევის, გამლეტ გუჩმაზოვის და დავიდ სანაკოევის დაკავებაზე, ICC-01/15-34-Conf-Exp (კონფიდენციალური, *ex parte*, მხოლოდ ხელმისაწვდომია ბრალდების მხარისთვის. დანართები 1-5, და 9 საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო დანართები 6-8 კონფიდენციალური, *ex parte,* ტექსტის საჯარო რედაქცია იმავე დღეს გავრცელდა, ICC-01/15-34-Red).

ტერიტორიაზე სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული შემდეგი დანაშაულების ჩადენისთვის:

(i) თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სტატუტის მუხლი 8(2)(a)(vii)-2);
(ii) წამება (სტატუტის მუხლი 8(2)(a)(ii)-1);
(iii) არაადამიანური მოპყრობა (სტატუტის მუხლი 8(2)(a)(ii)-2);
(iv) ადამიანის ღირსების შელახვა (სტატუტის მუხლი 8(2)(b)(xxi));
(v) მძევლების აყვანა (სტატუტის მუხლი 8(2)(a)(viii)); და
(vi) უკანონო გადაადგილება (სტატუტის მუხლი 8(2)(a)(vii)-1).[4]

II. იურისდიქცია და დასაშვებობა

2. სტატუტის მე-19(1) მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, რაც არ ზღუდავს აღნიშნულ საკითხზე მომავალში განაწყვეტილებების მიღების უფლებას, პალატამ მიიჩნია, რომ საქმე ბ-ნი მინძაევის წინააღმდეგ სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება[5]. პალატამ მიიჩნია, რომ პროკურორის შუამდგომლობაში აღწერილი ინციდენტები წარმოადგენს ომის დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილ იქნა 2008 წლის 8 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში საქართველოში, კერძოდ, სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სტატუტის 12(2)(a) მუხლი) კონფლიქტის კონტექსტში, რის საფუძველზეც პალატამ მიიღო გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების უფლებამოსილების გაცემის თაობაზე.[6]

3. ამ ეტაპზე პალატა არ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ, სტატუტის მე-19(1) მუხლის მეორე წინადადების საფუძველზე მინიჭებულ

[4] შუამდგომლობა, აბზ. 1-3.
[5] სააპელაციო პალატა, *პროკურორი თომას ლუბანგა დილოს წინააღმდეგ,* განჩინება დაცვის მხარის მიერ, სტატუტის 19(2)(a) მუხლის შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქციის ეჭვქვეშ დაყენებაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბ-ნი თომას ლუბანგა დილოს საჩივარზე, 2006 წლის 14 დეკემბერი, ICC-01/04-01/06-772, აბზ. 21-22.
[6] პირველი წინასასამართლო პალატა, გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, 2016 წლის 27 იანვარი, ICC-01/15-12, აბზ. 64 და გვ. 26.

დისკრეციულ *proprio motu* უფლებამოსილებას ბ-ნი მინძაევის წინააღმდეგ საქმის დასაშვებობის დასადგენად, რამდენადაც საამისოდ არ არსებობს რაიმე გამოკვეთილი მიზეზი ან ფაქტორი.[7]

III. მტკიცებულებათა სტანდარტი

4. პალატის ქვემომოყვანილი დასკვნები ეფუძნება მტკიცებულებათა შესაბამის სტანდარტს, კერძოდ, სტატუტის 58-ე(1)(a) მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, „ვარაუდისთვის გონივრული საფუძვლის" არსებობას. შესაბამისმა მტკიცებულემამ მხოლოდ უნდა მიგვიყვანოს გონივრულ დასკვნამდე, რომ აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული დანაშაული. არ არის აუცილებელი, აღნიშნული შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე გაკეთებული ერთადერთი გონივრული დასკვნა იყოს.[8]

---

[7] *იხ.* სააპელაციო პალატა, *სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,* განჩინება პროკურორის საჩივარზე პირველი წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ სახელწოდებით „გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე დაკავების ორდერების გაცემასთან დაკავშირებით, 58-ე მუხლი", 2006 წლის 13 ივლისი, ICC-01/04-169, აბზ. 1-2, 52. *იხ. მაგ.* პირველი წინასასამართლო პალატა, *პროკურორი ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის წინააღმდეგ, ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის დაკავების ორდერი, 2009 წლის 4 მარტი,* ICC-02/05-01/09-1, გვ. 4; *პროკურორი კალიქსტე მბარუსჰიმანას წინააღმდეგ,* გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე კალიქსტე მბარუსჰიმანას დაკავების ორდერთან დაკავშირებით, 2010 წლის 28 სექტემბერი, ICC-01/04-01/10-1, აბზ. 9; *პროკურორი აჰმად ალ ფაქრი ალ მაჰდის წინააღმდეგ,* Mandat d'arrêt à l'encontre d'Ahmad Al Faqi Al Mahdi, 2015 წლის 18 სექტემბერი, ICC-01/12-01/15-1-Red, აბზ. 12.

[8] სააპელაციო პალატა, *პროკურორი ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის წინააღდეგ,* განჩინება პროკურორის საჩივარზე პროკურორის შუამდგომლობაზე ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის წინააღმდეგ დაკავების ორდერის გამოცემასთან მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, 2010 წლის 3 თებერვალი, ICC-02/05-01/09-73 (OA), აბზ. 33, 39. **იხ. აგრეთვე** მეორე წინასასამართლო პალატა, *პროკურორი სილვესტრე მუდაკუმურას წინააღმდეგ,* გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე 58-ე მუხლის შესაბამისად, 2012 წლის 13 ივლისი, ICC-01/04-01/12-1-Red (კონფიდენციალური რედაქცია გამოიცა იმავე დღეს), აბზ. 19.

IV. სტატუტის 58-ე(1) მუხლის მოთხოვნები

1. ჩაიდინა თუ არა ბ-მა მინძაევმა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული დანაშაული (სტატუტის 58-ე(1)(a) მუხლი)

(a) კონფლიქტი, მისი მხარეები და ომის დანაშაულების კონტექსტური ელემენტები

5. მოთხოვნილი დაკავების ორდერი ეხება სტატუტის მე-8(2)(a) და (b) მუხლში აღწერილ ომის დანაშაულებს. პროკურორი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის 8 აგვისტოდან 27 აგვისტომდე,[9] სავარაუდო ომის დანაშაულების კონტექსტური ელემენტები სახეზეა. თითოეული სავარაუდო ომის დანაშაული შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: (i) ისინი ჩადენილ იქნა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში და დაკავშირებულია მასთან; და (ii) დანაშაულის ჩამდენი აცნობიერებდა შეიარაღებული კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებს.[10]

6. შუამდგომლობა მიმოიხილავს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას რუსეთის მიერ.[11] ოკუპაცია არ იწყება უშუალოდ მტრის შეიარაღებული ძალების მიერ ტერიტორიის დაკავებით. ამისათვის „მტრის ჯარმა უნდა მოახდინოს აღნიშნული ტერიტორიის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა“.[12] თუმცა, პალატა არ საჭიროებს ნებისმიერი სავარაუდო

---

[9] შუამდგომლობა, აბზ. 23.

[10] დანაშაულის ელემენტები, მე-8 მუხლის შესავალი; და მე-8(2)(a)(ii)-1 მუხლის მე-5 და მე-6 ელემენტები, მე-8(2)(a)(ii)-2 მუხლის მე-4 და მე-5 ელემენტები, მე-8(2)(a)(vii)-1 მუხლი, და მე-8(2)(a)(vii)-2 მუხლი; მე-8(2)(a)(viii) მუხლის მე-6 და მე-7 ელემენტები, და მე-8(2)(b)(xxi) მუხლის მე-3 და მე-4 ელემენტები.

[11] შუამდგომლობა, აბზ. 12, 26. *იხ. ასევე* აბზ. 11 *რომელიც უკავშირდება* GEO-OTP-0047-6804-ს (ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, *საქართველოს საქმე რუსეთის წინააღმდეგ*, განჩინება (დიდი პალატა), 2021 წლის 21 იანვარი, შუამდგომლობა, no. 38263/08). ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განჩინება მოიცავს ფართო ანალიზს წინმსწრები მოვლენებისა, მათ შორის ოკუპაციის იურიდიულ ხასიათს.

[12] 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლი. იმის დადგენა, მტრის შეიარაღებული ძალების შეჭრა გადაიზარდა თუ არა ოკუპაციის სიტუაციაში „ფაქტის საკითხია“.

ოკუპაციის დაწყების დადგენას, რადგან ოკუპაციის არსებობა არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას სავარაუდო ომის დანაშაულებისთვის[13]. ამისათვის მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების ფარგლებში ჩადენილი ქმედებების მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მისადაგებაა საჭირო. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს გამოცხადებული ომის, ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ძალის გამოყენების, ან საომარი ოკუპაციის შემთხვევებში.[14]

7. აღნიშნული განხილვის მიზნებისთვის მხოლოდ იმის ხაზგასმაა საჭირო, რომ 2008 წლის 8 აგვისტოდან დაწყებული რუსეთი და საქართველო ჩაბმული იყვნენ საომარ მოქმედებებში და, რომ, აღნიშნულის შედეგად, რუსეთის ძალები დარჩნენ საქართველოს ტერირორიაზე ქართული მხარის თანხმობის გარეშე.[15] ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ შესაბამისი სტანდარტის გათვალისწინებით, არსებული მტკიცებულებები მიანიშნებს, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობდა სულ მცირე 2008 წლის 8 აგვისტოდან და აღნიშნული შუამდგომლობისთვის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

8. იმისათვის, რომ განსაჯოს, არსებობს თუ არა კავშირი სავარაუდო დანაშაულებსა და იმ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს შორის, რომელიც მიმდინარეობდა რუსეთს, რომელიც სამხრეთ ოსეთის ძალებთან ერთად იბრძოდა, და საქართველოს შორის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნულ სავარაუდო

შეერთებული შტატების ტრიბუნალი ნურენბერგში, *მძევლების სასამართლო პროცესი,* ომის დამნაშავეთა სასამართლო სხდომის გადაწყვეტილებების კრებული, ტომი. III, გაეროს ომის დანაშაულთა კომისია, 1949, ლონდონი, გვ. 55; გაეროს საერთაშორისო სასამართლო, სამხედრო მოქმედებები კონგოს ტერიტორიაზე (*კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდას წინააღმდეგ)*, განჩინება, 2005 წლის 19 დეკემბერი, აბზ. 173; და *პროკურორი* ნალეთილიჩის და მარტინოვიჩის წინააღმდეგ, სასამართლო სხდომის განჩინება, 2003 წლის 31 მარტი, IT-98-34-T, აბზ. 211.

[13] *იხ. ზემოთ*, პუნქტ 10-ში მოცემული დანაშაულის ელემენტები.

[14] 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენციის საერთო მე-2 მუხლი.

[15] *იხ. მაგ.,* GEO-OTP-0002-7599, GEO-OTP-0002-7736, GEO-OTP-0002-1113.

ქმედებებზე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მისადაგება, პალატამ შესაძლოა განიხილოს *inter alia* შემდეგი: (i) სავარაუდო დანაშაულის ჩამდენთა და დაზარალებულ პირთა სტატუსი და მათი შესაძლო როლი საბრძოლო მოქმედებებში; (ii) წარმოადგენდა თუ არა სამხედრო კამპანია აღნიშნული ქმედების საბოლოო მიზანს; და (iii) მოხდა თუ არა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა მისი ჩამდენის სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში და წარმოადგენდა თუ არა მათ ნაწილს.[16]

9. სავარაუდო დანაშაულები ჩადენილ იქნა ზემოხსენებული შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში საქართველოს სამხრეთ ოსეთის ნაწილში. პროკურორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიანიშნებს, რომ რუსეთის სამხედრო ძალებისა და სამხრეთ ოსეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აღნიშნულ დანაშაულებში სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის, დაკავებულ პირთა დაპატიმრებასა და გაცვლაში.[17] როგორც ქვემოთ პალატის მიერ სავარაუდო დანაშაულების მიმოხილვისას არის აღნიშნული, დაკავებული სამოქალაქო პირები მიიჩნეოდნენ რუსეთის მტრის, კერძოდ, საქართველოს[18], ნაწილად და მის მხარდამჭერებად, და მათი ნაწილი დაკითხულ იქნა ქართული არმიის სავარაუდო რეზერვისტის სტატუსთან დაკავშირებით[19]. უფრო მეტიც, გაცვლის ერთ-ერთი მიზანი რუსი სამხედრო ტყვეების და რუსი ჯარისკაცების გვამების რუსეთში

---

[16] სააპელაციო პალატა, *პროკურორი ბოსკო ნთაგანდას წინააღმდეგ*, განჩინება ბ-ნი ნთაგანდას საჩივარზე „დაცვის მხარის მიერ, მე-6 და მე-9 პუნქტების შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქციის ეჭვქვეშ დაყენებასთან დაკავშირებით მიღებულ მეორე გადაწყვეტილებაზე“, ICC-01/04-02/06-1962, 2017 წლის 15 ივნისი, აბზ. 68, რომელიც უკავშირდება ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე შექმნილი საერთაშორისო სისხლისსამართლის ტრიბუნალს, *პროკურორი კუნარაჩის, კოვაჩის და ვუკოვიჩის წინააღმდეგ*, სააპელაციო განჩინება, 2002 წლის 12 ივნისი, IT-96-23 და IT-96-23/1-A, აბზ. 59.
[17] *იხ. მაგ. აბზ.* 12, 21, 33 ქვემოთ.
[18] *იხ. აბზ.* 16 ქვემოთ.
[19] *იხ. აბზ.* 22 ქვემოთ.

დაბრუნება იყო. ბ-ნი მინძაევის სავარაუდო ქმედებები აღნიშნულ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით მისი, როგორც დეფაქტო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა მინისტრის სამსახურეობრივი მოვალეობებიდან მომდინარეობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ აღნიშნული ქმედებები ჩადენილ იქნა ზემოხსენებული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში და დაკავშირებული იყო მასთან, და რომ მათ მიმართ მსგავს კონფლიქტებში გამოყენებადი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უნდა იქნას მისადაგებული. შესაბამისად, შესაძლოა, მოხდა აღნიშნული სამართლის დარღვევა.

10. ანალიზის სტანდარტის გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზნებისთვის, პალატა არ საჭიროებს იმის დადგენას, შესაძლოა თუ არა აღნიშნული სიტუაცია რუსეთის ოკუპაციადაც იქნეს კვალიფიცირებული, ან მიმდინარეობდა თუ არა ზემოაღნიშნული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პარალელურად აგრეთვე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, და აღნიშნული სავარაუდო ქმედებები აგრეთვე ჩადენილ იქნა თუ არა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტის ფარგლებში, ან მის ნაცვლად.

11. იმის გამო, რომ აღნიშნულ ქმედებებს ადგილი ჰქონდა 2008 წლის კონფლიქტის პიკში, და მოქმედებების ადგილზე დამნაშავეთა და ბ-ნი მინძაევის პოზიციის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ეჭვმიტანილი აცნობიერებდა აღნიშნული კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებს.

(b) დანაშაულები

(i) *თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სტატუტის მე-8(2)(a)(vii) მუხლი)*

12. მტკიცებულებათა საფუძველზე[20], პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ 2008 წლის 10 აგვისტოდან 12 აგვისტომდე პერიოდში რამდენიმე სოფლის მაცხოვრებელი, რომლებიც *მიჩნეულ იყვნენ* ეთნიკურ ქართველებად (შემდგომში „ეთნიკური ქართველები“)[21], ან შერეულ ქორწინებაში მყოფებად, და რომლებსაც ჯერ არ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები, განსაკუთრებული მიზეზის გარეშე იქნენ დაკავებული ცხინვალის ტერიტორიაზე, ქუჩებში ან სახლებში, იმ პირების მიერ, რომლებიც ეთნიკურ ოსებად არიან აღწერილი. ამ უკანასკნელთ ეცვათ პოლიციელის ან სამხედრო პირის უნიფორმები, ან სამოქალაქო ტანსაცმელი, და, რიგ შემთხვევებში, რუსებთან ან რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლებთან ერთად მოქმედებდნენ. ზოგიერთ მათგანს ეკეთა თეთრი სამკლაურები, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენდა რუსებისა და ოსების ქართველებისგან გარჩევა. აღნიშნული დაკავებები, როგორც წესი, ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების მიერ ძარცვის ან სახლების გადაწვის ფონზე მიმდინარეობდა, გარკვეული ძალადობის თანხლებით, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაციული შეურაცხყოფა (მაგალითად, „ქართველი ღორები“), და აგრეთვე სასტიკი ცემა. დაკავებული პირები გადაჰყავდათ კაპეზეს დაკავების დაწესებულებაში, სადაც ხდებოდა მათი პირადი ნივთების ჩამორთმევა და დაკავება 5-დან 18 დღემდე, რის შემდგომაც ისინი მიჰყავდათ

[20] P-0259, GEO-OTP-0041-0003; P-0246, GEO-OTP-0044-1085; P-0093, GEO-OTP-0020-1150; P-0161, GEO-OTP-0039-1003; P-0153, GEO-OTP-0028-0507; P-0213, GEO-OTP-0038-0281; GEO-OTP-0028-0507; P-0209, GEO-OTP-0039-0007; P-0211, GEO-OTP-0045-0348; P-0235, GEO-OTP-0039-0457; P-0266, GEO-OTP-0051-1033; P-0194, GEO-OTP-0032-1209; P-0354, GEO-OTP-0046-1589; P-0152, GEO-OTP-0028-0345; P-0194, GEO-OTP-0032-1209; P-0329, GEO-OTP-0044-1150; P-0333, GEO-OTP-0050-0002; P-0222, GEO-OTP-0039-0286; P-0208, GEO-OTP-0037-0102; P-0253, GEO-OTP-0050-0059; P-0285, GEO-OTP-0041-0991; GEO-OTP-0002-7736.

[21] აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ტერმინების „ეთნიკური ქართველები“ ან „ეთნიკური ოსების“ გამოყენებისას, პალატა ეყრდნობა იმას, როგორც არიან აღქმული ეს პირები სხვების მიერ და არა ეთნიკურობას, როგორც ასეთს.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და გადასცემდნენ საქართველოს ხელისუფლებას ქვემოაღწერილი გაცვლის პროცესის ფარგლებში.[22]

13. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ომის დანაშაულის ელემენტები არ მოიცავს აღნიშნულ საკითხს, პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ხაზგასმით ითვალისწინებს სამოქალაქო პირების დაკავების შესაძლებლობას. იმისათვის, რომ დაადგინოს, რამდენად იყო აღნიშნული სავარაუდო თავისუფლების აღკვეთა „უკანონო“, პალატამ უნდა განიხილოს, თავისუფლების აღკვეთა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისი დებულებების თანახმად მოხდა, თუ მის საპირისპიროდ. 1949 წელს მიღებული ჟენევის მეოთხე კონვენციის[23] 42-რე მუხლის შესაბამისად, “განკარგულება დაცულ პირთა ინტერნირების ან გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილზე გადაყვანის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს, როდესაც ეს დამკავებელი სახელმწიფოს უშიშროებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.“[24] ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) პრეცედენტული პრაქტიკის შესაბამისად, დაცული პირების დაკავება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამკავებელ სახელმწიფოს გააჩნია „სერიოზული და რეალური საფუძველი ჩათვალოს, რომ [აღნიშნულმა დაცულმა პირებმა] შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნან მის უშიშროებას“[25], ან ჰქონდეს „გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ აღნიშნული აუცილებელ პირობას

---

[22] *იხ. აბზ.* 33-37 ქვემოთ.

[23] ჟენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ, 1949 წლის 12 აგვისტო, 75 გაეროს ხელშეკრულებების სერია 973.

[24] პალატა აღნიშნავს, რომ შუამდგომლობა მხოლოდ არაპირდაპირ ამტკიცებს, რომ რუსეთი დამკავებელი სახელმწიფო იყო.

[25] სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი დელალიჩის, მუჩიჩის და ლანჯოს წინააღმდეგ,* განჩინება, 1998 წლის 16 ნოემბერი, IT-96-21-T (*ჩელებიჩის* სასამართლო სხდომის განჩინება), აბზ. 576, 1134. იხ. ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის 1958 წლის კომენტარი ჟენევის მეოთხე კონვენციასთან დაკავშირებით, გ. 258.

წარმოადგენს [დამკავებელი სახელმწიფოს] უშიშროების უზრუნველსაყოფად“.[26] მხოლოდ მტრის მხარის მოქალაქეობა, ან მისი მხარდაჭერა ვერ ჩაითვლება იმ მხარის უშიშროებისთვის საფრთხის შემცველად, რომლის კონტროლქვეშაც იმყოფება აღნიშნული პირი.[27] უნდა მოხდეს თავისუფლებააღკვეთილი თითოეული სამოქალაქო პირის ინდივიდუალური შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული პირი *კონკრეტულ* რისკს უსაფრთხოებისთვის.[28]

14. ოკუპაციის შემთხვევაში ინტერნირება დასაშვებია მხოლოდ „უშიშროების გადაუდებელი მიზეზების გამო“.[29] ამდენად, ჟენევის მეოთხე კონვენციის 78-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პირების დაკავების გასამართლებლად დამკავებელმა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს უფრო მაღალი ზღურბლი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ოკუპაციის კანონის გამოყენება არ იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, დამკავებელი სახელმწიფოს ქმედებების გასაანალიზებლად ამ ეტაპზე პალატა ჟენევის მეოთხე კონვენციის 42-ე მუხლის შედარებით დაბალ სტანდარტს დაეყრდნობა.

---

[26] სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი კორდიჩის და ჩერკეზის წინააღმდეგ,* განჩინება, 2004 წლის 17 დეკემბერი („კორდიჩის და ჩერკეზის სააპელაციო *განჩინება“),* IT-95-14/2-A, აბზ. 73.

[27] *იხ. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის 1958 წლის კომენტარი ჟენევის მეოთხე კონვენციასთან დაკავშირებით, გვ. 258; და ჩელებიჩის სასამართლოს სხდომის განჩინება, აბზ. 577.*

[28] იხ. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის 1958 წლის კომენტარი ჟენევის მეოთხე კონვენციასთან დაკავშირებით, გვ. 258; და სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი დელალიჩის, მუჩიჩის, დელიჩის და ლანჯოს წინააღმდეგ,* სააპელაციო განჩინება, 2001 წლის 20 თებერვალი, IT-96-21-A („*ჩელებიჩის სააპელაციო განჩინება“),* აბზ. 327, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *ჩელებიჩის* სასამართლო სხდომის განჩინება, აბზ. 1134. *იხ. ასევე ჩელებიჩის* სასამართლოს სხდომის განჩინება, აბზ. 578, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *კორდიჩის და ჩერკეზის* სააპელაციო განჩინება, აბზ. 284, *პრლიჩი და სხვები,* IT-04-74-T, აბზ. 135.

[29] ჟენევის მეოთხე კონვენციის 78-ე მუხლი.ს

15. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ რამდენიმე სამოქალაქო პირის თავისუფლების აღკვეთა უკანონო იყო შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით.

16. პირველ რიგში, პალატას მიაჩნია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მოხდა დაახლოებით 170 პირის დაკავება და შემდგომ იზოლატორში მოთავსება, და რომ მათი უმეტესობა სამოქალაქო პირებს წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო ბევრი ქალი და ასაკოვანი პირი, რომლებიც აღმოჩნდნენ შეიარაღებული კონფლიქტის იმ მხარის[30] ხელთ, რომელიც დაპირისპირებული იყო მხარესთან (საქართველოს მთავრობასთან)[31], რომლის მხარდამჭერებადაც აღიქმებოდნენ ისინი მათი სავარაუდო ეთნიკური წარმომავლობის გამო. ამდენად, ჟენევის მეოთხე კონვენციის თანახმად, არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ აღნიშნული პირების უმეტესობა წარმოადგენდნენ დაცულ პირებს.

---

[30] GEO-OTP-0041-0263; GEO-OTP-0041-0268; GEO-OTP-0041-0272; GEO-OTP-0041-0279; GEO-OTP-0044-1051; GEO-OTP-0002-7736, აბზ. 25; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 49, 54; P-0282, GEO-OTP-0043-1622, აბზ. 91, 99; P-0354, GEO-OTP-0046-1589, აბზ. 37, 143, 155; შუამდგომლობა, დანართი 8.

[31] პალატა აღნიშნავს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, „დაცული პირები“ წარმოადგენენ „პირებს [...], რომლებიც, მოცემულ მომენტსა და ნებისმიერი გზით, აღმოჩნდნენ, კონფლიქტის ან ოკუპაციის შემთხვევაში, კონფლიქტის იმ მხარისა თუ ოკუპანტი სახელმწიფოს ხელში, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან.“ პალატა იღებს აღნიშნული ნორმის იმ განმარტებას, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის იურისდიქციაშია მოცემული, რომლის მიხედვითაც, „დაცული პირების განმარტება არ უნდა მოხდეს მხოლოდ მოქალაქეობის მოთხოვნების შესაბამისად, არამედ ისეთი უფრო რეალისტური კავშირებით, როგორიცაა ეთნიკური კუთვნილება, რაც ცხადყოფს არსებულ მხარდაჭერას კონფლიქტის მხარის მიმართ.“ *იხ.* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი ბრდანინის წინააღმდეგ,* განჩინება, 2004 წლის 1 სექტემბერი, IT-99-36-T, აბზ. 125. *იხ. ასევე პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ,* სააპელაციო განჩინება, 1999 წლის 15 ივლისი, IT-94-1-A, აბზ. 164-168; სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი ალექსოვსკის წინააღმდეგ,* განჩინება, 2000 წლის 24 მარტი, IT-95-14/1-A, აბზ. 152; *ჩელებიჩის* სააპელაციო განჩინება, აბზ. 82-83; *პროკურორი ნალეთილიჩის და მარტინოვიჩის წინააღმდეგ, განჩინება, 2003 წლის 31 მარტი,* IT-98-34-T, აბზ. 206-207. *იხ. ასევე* პირველი წინასასამართლო პალატა, *პროკურორი კატანგას და მეთიუ ნგუდიოლო ჩუის წინააღმდეგ,* გადაწყვეტილება ბრალდების დადასტურების თაობაზე, 2008 წლის 30 სექტემბერი, ICC-01/04-01/07-717, აბზ. 289-292.

17. არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ იზოლატორში დაკავებულ პირთა სულ მცირე ერთი ნაწილი მაინც არ წარმოადგენდა საფრთხეს უშიშროებისთვის შესაბამის პერიოდში[32], ან რომ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად,[33] ხდებოდა ნებისმიერი მსგავსი საფრთხის ინდივიდუალური ანალიზი. ამის ნაცვლად, არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თავისუფლების აღკვეთას ჰქონდა კოლექტიური ხასიათი და მიმართული იყო ადამიანების კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ მათი სავარაუდო ეთნიკური წარმომავლობის (კერძოდ, ქართველობის) საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პირის დაკავება ხდებოდა ქაოსურად ქუჩაში[34], ზოგიერთის კი ჯგუფებად (მაგალითად, მთელი ოჯახების), რომლებიც შემდგომ ერთად იყვნენ განთავსებულნი.[35] დაკავების მომენტში ერთადერთი კითხვა, რომელიც, როგორც ჩანს, სისტემატიურად გაისმოდა, იყო ის, იყვნენ თუ არა ისინი ქართველები, რასაც ისინი [დაკავებული პირები] ადასტურებდნენ. ამის

---

[32] *იხ.* ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის *სასამართლო პალატის* სამოტივაციო ნაწილი, მიღებული *ჩელებიჩის* საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *ჩელებიჩის* სასამართლო სხდომის განჩინება, აბზ. 1131-1134, 1132 („თუნცა, ნათელია, რომ ჩელებიჩის ციხის ბანაკში სამოქალაქო პირების ჯგუფის დაკავება არ შეიძლება გამართლებული იყოს რაიმე გზით. მიუხედავად იმისა, რომ უნდა ვაღიაროთ, რომ დამკავებელ სახელმწიფოს გააჩნია მოქმედების მნიშვნელოვანი თავისუფლება, რათა დაადგინოს ის ქცევა, რომელსაც იგი მისი უშიშროებისთვის რისკისშემცველად მიიჩნევს, სასამართლო პალატისთვის ნათელია, რომ გონივრულად ვერ ჩაითვლებოდა, რომ ჩელებიჩის ციხის ბანაკში დაკავებული რამდენიმე სამოქალაქო პირი რაიმე სახის საკმარისად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ დამკავებელი ძალებისთვის, რაც გაამართლებდა მათ დაკავებას.“) სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *ჩელებიჩის* სააპელაციო განჩინება, აბზ. 330 („სასამართლო პალატისთვის ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე მოწმის მიერ მოწოდებული მტკიცებულებები, რომ მათ არ ჰქონიათ იარაღი, არ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ან სხვა სახის აქტივობებში, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო შეშფოთების რეალური საფუძველი, რომ ისინი წარმოადგენდნენ საფრთხეს უშიშროებისთვის.“).

[33] *ის. ჩელებიჩის* სასამართლოს განჩინება, აბზ. 577, 578, 1134; *ჩელებიჩის* სააპელაციო განჩინება, აბზ. 327, 330.

[34] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[35] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

შემდგომ კი ხდებოდა მათი გადაყვანა დაკავების დაწესებულებაში.[36] იზოლატორში განთავსების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდა პატიმარი მამაკაცის დაკითხვა მოხდა,[37] მტკიცებულებების თანახმად, არ ხდებოდა თითოეული დაკავებული პირის ინდივიდუალური გარემოებების შეფასება.

18. უფრო მეტიც, არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ სულ მცირე ზოგიერთი მათგანის დაკავება და დაპატიმრება ხდებოდა გამიზნულად, რათა მოგვიანებით მომხდარიყო მათი გადაცვლა. ზოგიერთ პატიმარს დაკავების მომენტშივე განუმარტეს, რომ მათი დატყვევების მიზანი გაცვლა იყო[38], ზოგიერთმა მათგანმა შემთხვევით მოისმინა დამპატიმრებელი პირების საუბარი, რომ დაპატიმრებული პირები ცოცხლები უნდა დარჩენილიყვნენ, რათა „საჭირონი“ ყოფილიყვნენ.[39] ზოგიერთ პირს კი დაკავების მომენტში უთხრეს, რომ მათი დაკავების მიზანი გაცვლა იყო.[40]

19. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც პროკურორი აღნიშნავს[41], რიგ შემთხვევებში დამკავებელმა სახელმწიფომ ხაზი გაუსვა დაკავებული პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რათა გაემართლებინა დაკავებული პირებისთვის თავისუფლების აღკვეთა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სამოქალაქო პირების ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფა არ წარმოადგენს ამ პირების თავისუფლების აღკვეთის საფუძველს.

---

[36] *იხ. მაგ.* P-0235, GEO-OTP-0039-0457 (კერძოდ, *იხ. აბზ.* 72); P-0093, GEO-OTP-0020-1150, აბზ. 64.
[37] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].
[38] [რედაქტირებული].
[39] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; *იხ. ასევე* [რედაქტირებული].
[40] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].
[41] შუამდგომლობა, n. 115. იხ. დამატებით P-0209, GEO-OTP-0039-0007, აბზ. 79-82; GEO-OTP-0051-0318; GEO-OTP-0047-1121.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ დიდი რაოდენობით დაცული პირების მოთავსება იზოლატორში 2008 წლის 10 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში წარმოადგენს თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულს რომის სტატუტის მე-8(2)(a)(vii) მუხლის მიხედვით.

(ii) *წამება (სტატუტის მე- 8(2)(a)(ii) მუხლი), არაადამიანური მოპყრობა (სტატუტის მე-8(2)(a)(ii) მუხლი), და ადამიანის ღირსების შელახვა (სტატუტის მე-8(2)(b)(xxi) მუხლი)*

21. არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ზოგიერთმა დაკავებულმა პირმა, უპირატესად ახალგაზრდა მამაკაცებმა, რამდენჯერმე განიცადეს ცემა, შეურაცხყოფა, მუქარა, დამცირება და სხვა სახის არასანადო მოპყრობა იზოლატორში მათი დაკავების პერიოდში,[42] მათ შორის მათი დაკავების დაწესებულებაში მიყვანისთანავე.[43] არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ კაპეზეს ზედამხედველები, პოლიციელები და ჯარისკაცები წიხლებით უსწორდებოდნენ დაკავებულებს და იყენებდნენ სხვადასხვა სახის ბლაგვ საგნებს მათი ცემის დროს.[44] მიუხედავად იმისა, რომ ცემის ინციდენტებს სხვადასხვა ინტენსიურობა და ხანგრძლივობა ახასიათებდა, გადმოცემის თანახმად, მათი შედეგი ხშირად იყო თვალსაჩინო დაზიანებები,

---

[42] *იხ.*, მაგ., [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. თარიღებთან დაკავშირებით, *იხ.* [რედაქტირებული]; და [რედაქტირებული]. აღნიშნულისთვის [რედაქტირებული], *იხ.* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[43] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[44] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

როგორიცაა [რედაქტირებული][45]. ზოგიერთი სავარაუდო დაზარალებული კი აგრეთვე საუბრობდა აღნიშნულის შედეგად[46] მიყენებულ სულიერ ტანჯვაზე.

22. ზოგიერთი დაკავებული პირი დაექვემდებარა დაკითხვას, ცემასა და მუქარას, რათა მათ იძულებით ეღიარებინათ, რომ რეზერვისტები იყვნენ.[47] ზოგიერთ დაკავებულ პირს უთხრეს, [რედაქტირებული], უარის შემთხვევაში, მათ ცემით უსწორდებოდნენ.[48] გარდა ამისა, ზოგიერთ დაკავებულ პირს ცემდნენ დასჯის მიზნით. მაგალითად, არსებობდა კოლექტიური დასჯის ამგვარი ფორმა იმის გამო, „რაც ქართველებმა გააკეთეს“, [რედაქტირებული], ან მითითებების (დაუყოვნებლივ) შეუსრულებლობის გამო.[49]

23. არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთ დაკავებულ პირს, კერძოდ, ახალგაზრდა მამაკაცებს,[50] იძულებით[51] აგროვებინებდნენ და, რიგ შემთხვევებში, აგრეთვე ამარხინებდნენ ქართველი ჯარისკაცების გახრწნილ გვამებს, არაჰიგიენურ პირობებში და დამცავი საშუალებების გარეშე.[52] აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირები იძულებული იყვნენ შიშველი ხელებით მოეგროვებინათ და დაემარხათ გვამები, და არ ჰქონდათ დაბანვის შესაძლებლობა აღნიშნული სამუშაოს

---

[45] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული].

[46] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[47] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული].

[48] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[49] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[50] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[51] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]. *დამატებით იხ.* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. [რედაქტირებული], *იხ.* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული], *აგრეთვე* [რედაქტირებული] დაკავშირებით, [რედაქტირებული], და [რედაქტირებული]. *დამატებით იხ.* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[52] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *იხ. ასევე* [რედაქტირებული].

შესრულების შემდგომ,[53] მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის სიცხეში გვამები რამდენიმე დღის განმავლობაში იხრწნებოდა.[54] სამუშაოდ გაყვანის დროს ზოგიერთი დაკავებული პირი განიცდიდა შევიწროებას, შეურაცხყოფას და თავდასხმას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.[55]

24. არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დაკავებული პირები იმყოფებოდნენ არასათანადო პირობებში, განსაკუთრებით პირველ დღეებში:[56] საკნები გადავსებული იყო,[57] საპირფარეშოები ან საერთოდ არ იყო, ან არ იძლეოდა განმარტოების საშუალებას,[58] სამედიცინო დახმარება[59] კი მათთვის, ვისაც მკურნალობა ესაჭიროებოდა, შეზღუდული იყო.[60] უფრო მეტიც, დაკავების პირველ დღეებში ზოგიერთმა დაკავებულმა პირმა საერთოდ არ მიიღო საკვები და წყალი, ან მხოლოდ მცირე რაოდენობით ჭუჭყიანი წყალი მიიღო.[61] მოგვიანებით ოდნავ გაუნჯობესდა კვების პირობები, მაგრამ წყლის და

---

[53] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[54] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[55] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. [რედაქტირებული]. [რედაქტირებული]. თუმცა, როგორც პროკურორმა ასევე აღნიშნა შუამდგომლობის 42-ე და 63-ე აბზაცებში, ზოგიერთი ზედამხედველი, როგორც ჩანს, ვითარებაში ერეოდა დაკავებული პირების დაცვის მიზნით. *იხ.* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[56] P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 175; P-0214, GEO-OTP-0051-1091, აბზ. 82.

[57] P-0312, GEO-OTP-0044-0540, აბზ. 132.

[58] P-0201, GEO-OTP-0046-0002, აბზ. 108; P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 175; P-0153, GEO-OTP-0028-0507, აბზ. 125; P-0161, GEO-OTP-0039-1003, აბზ. 80; P-0231, GEO-OTP-0044-1355, აბზ. 48; P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 170.

[59] P-0491, GEO-OTP-0047-4533, აბზ. 135-137; P-0261, GEO-OTP-0047-5883, აბზ. 93-99; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 105-109; P-0194, GEO-OTP-0032-1209, აბზ. 252-253; P-0258, GEO-OTP-0042-0646, აბზ. 119-121, 124; P-0362, GEO-OTP-0048-0049, აბზ. 181-183; P-0238, GEO-OTP-0041-0063, აბზ. 254; P-0093, GEO-OTP-0020-1150, აბზ. 104; P-0208, GEO-OTP-0037-0102, აბზ. 95-96; P-0144, GEO-OTP-0024-0066, აბზ. 127; P-0184, GEO-OTP-0035-0539, აბზ. 44-46, 56, 62, 70; P-0253, GEO-OTP-0050-0059, აბზ. 53; P-0360, GEO-OTP-0046-1623, აბზ. 76-78; P-0209, GEO-OTP-0039-0007, აბზ. 86; P-0153, GEO-OTP-0028-0507, აბზ. 167-169; P-0222, GEO-OTP-0039-0286, აბზ. 143-145; P-0231, GEO-OTP-0044-1355, აბზ. 83-87.

[60] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[61] P-0222, GEO-OTP-0039-0286, აბზ. 139; P-0153, GEO-OTP-0028-0507, აბზ. 130; P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 175; P-0207, GEO-OTP-0047-7710, აბზ. 24-29; P-0360, GEO-OTP-0046-1623, აბზ. 96.

საკვების რაოდენობა კვლავ მცირე იყო.[62] გადატვირთულობის, ნავთზე მომუშავე ელექტროენერგიის გენერატორისა და ზაფხულის მწვავე სიცხის გამო, ჰაერი უკიდურესად დაბინძურებული იყო და სუნთქვას ართულებდა.[63]

25. გადმოცემის თანახმად, დაკავების პირობები ოდნავ გაუნჯობესდა[64] მას შემდეგ, [რედაქტირებული] 2008 წლის 23 ან/და 24 აგვისტოს.[65] [რედაქტირებული] შემდგომ, დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებმაც იკლო.[66]

26. როგორც ზემოთ იქნა დადგენილი,[67] არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იზოლატორში ზემოხსენებულ არასათანადო პირობებში მოთავსებული პირების უმრავლესობა დაცულ პირებს წარმოადგენდნენ. არაერთგზის ცემის შედეგად, რომელმაც რიგ შემთხვევებში თვალსაჩინო დაზიანებები გამოიწვია, არაერთგზის შეურაცხყოფის და მუქარის, დაკავებულთა მუშაობის იძულების, და დაკავების ზოგადი პირობების გამო, რომელიც ქმნიდა შფოთვის

---

[62] P-0362, GEO-OTP-0048-0049, აბზ. 162, 165-166; P-0209, GEO-OTP-0039-0007, აბზ. 83-84, 90; P-0312, GEO-OTP-0044-0540, აბზ. 128-129; P-0184, GEO-OTP-0035-0539, აბზ. 66-68; P-0093, GEO-OTP-0020-1150, აბზ. 102, 106; P-0201, GEO-OTP-0046-0002, აბზ. 110-111; P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 176; P-0194, GEO-OTP-0032-1209, აბზ. 188, 197; P-0491, GEO-OTP-0047-4533, აბზ. 67-68, 70; P-0152, GEO-OTP-0028-0345, აბზ. 188, 196; P-0161, GEO-OTP-0039-1003, აბზ. 83, 87; P-0231, GEO-OTP-0044-1355, აბზ. 60-62; P-0228, GEO-OTP-0046-1679, აბზ. 89, 91; P-0208, GEO-OTP-0037-0102, აბზ. 85; P-0359, GEO-OTP-0048-0017, აბზ. 135; P-0213, GEO-OTP-0038-0281, აბზ. 66; P-0360, GEO-OTP-0046-1623, აბზ. 96-97; P-0222, GEO-OTP-0039-0286, აბზ. 141; P-0153, GEO-OTP-0028-0507, აბზ. 146; P-0223, GEO-OTP-0037-0600, აბზ. 48; P-0253, GEO-OTP-0050-0059, აბზ. 52; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 84, 88; P-0258, GEO-OTP-0042-0646, აბზ. 107. *იხ. ასევე* P-0491, GEO-OTP-0047-4533, აბზ. 68-69; P-0285, GEO-OTP-0041-0991, აბზ. 124; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 88; P-0266, GEO-OTP-0051-1033, აბზ. 185; P-0213, GEO-OTP-0038-0281, აბზ. 66; P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 342.

[63] P-0194, GEO-OTP-0032-1209, აბზ. 186, 189; P-0312, GEO-OTP-0044-0540, აბზ. 133; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 89; P-0161, GEO-OTP-0039-1003, აბზ. 89; P-0153, GEO-OTP-0028-0507, აბზ.125; P-0491, GEO-OTP-0047-4533, აბზ. 53, 69; P-0440, GEO-OTP-0047-7678, აბზ. 47.

[64] [რედაქტირებული].

[65] [რედაქტირებული], GEO-OTP-0038-0307; [რედაქტირებული], GEO-OTP-0047-5987; [რედაქტირებული], GEO-OTP-0046-0043; [რედაქტირებული], GEO-OTP-0039-0495; [რედაქტირებული], GEO-OTP-0048-0079; და [რედაქტირებული], GEO-OTP-0032-1261.

[66] P-0238, GEO-OTP-0041-0063, აბზ. 235.

[67] *იხ.* აბზ. 16 ზემოთ.

გარემოს, პალატას მიაჩნია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე დაკავებულმა პირმა მწვავე ფიზიკური და სულიერი ტკივილი და ტანჯვა განიცადა (დანაშაულის ელემენტები, სტატუტის მე-8(2)(a)(ii)-2 მუხლი, ელემენტი 1). რიგ შემთხვევებში, როგორც ჩანს, ტკივილის და ტანჯვის მიყენება ხდებოდა იმ მიზნით, რომ დაკავებულ პირებს ეღიარებინათ, რომ ისინი იყვნენ რეზერვისტები, ან როგორც დასჯის ზომა ან/და იმისათვის, რომ მომხდარიყო დაკავებულების იძულება, დამორჩილებოდნენ მითითებებს (დანაშაულის ელემენტები, სტატუტის მე-8(2)(a)(ii)-1 მუხლი, ელემენტი 2). ამ გარემოებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული არასათანადო მოპყრობა დაკავებული პირების მიმართ, რომის სტატუტის მე-8(2)(a)(ii) მუხლის მიხედვით, წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისა და წამების დანაშაულებს.

27. უფრო მეტიც, პალატა, მისი ზემოხსენებული დასკვნების საფუძველზე, აცხადებს, რომ დაკავებული პირები განიცდიდნენ გამუდმებულ შეურაცხყოფას და იმყოფებოდნენ არასათანადო დაკავების პირობებში, არ გააჩნდათ განმარტოების საშუალება საპირფარეშოში; ზოგიერთი დაკავებულის შრომითი იძულება ხდებოდა, რის შედეგადაც დაკავებულებს უხდებოდათ ქართველი ჯარისკაცების გახრწნილი გვამების შეგროვება არამხოლოდ არაჰიგიენურ პირობებში, არამედ ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შევიწროებისა და დამცირების ფონზე.[68] დაკავებულების მიმართ აღნიშნული მოპყრობა ერთობ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ხასიათის იყო. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დაკავებული პირები განიცდიდნენ სასტიკ შეურაცხყოფას, დამცირებას და სხვა სახის

[68] *იხ.* აბზ. 21, 23-24 ზემოთ.

ღირსების შელახვას (სტატუტის დანაშაულის ელემენტები, მე-8(2)(b)(xxi) მუხლი, პირველი და მეორე ელემენტები) და აღნიშნავს, რომ არსებული მტკიცებულებები საკმარისია იმისათვის, რომ გვქონდეს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის ღირსების შელახვას.

(iii) მძევლების აყვანა (სტატუტის მე-8(2)(a)(viii) მუხლი)

28. პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 170 პირი იყო დაკავებული იზოლატორში[69], რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდნენ დაცულ პირებს, და ამ პირთაგან სულ მცირე 110 გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას 2008 წლის 21-27 აგვისტოს პერიოდში.[70]

29. მტკიცებულებების[71] თანახმად, დაკავებულ პირთა გადაცემამდე, დაახლოებით 2008 წლის 12 აგვისტოდან დაწყებული, მოლაპარაკებები გაიმართა გორში საქართველოს წარმომადგენლებს, რუსეთის წარმომადგენელ გენერალ ბორისოვსა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებას შორის, რომელსაც წარმოადგენდა ბ-ნი სანაკოევი. მათ განიხილეს სამხედრო ტყვეთა გათავისუფლება და „გაცვლა“, გარდაცვლილ ჯარისკაცთა გვამები და აგრეთვე დაკავებული სამოქალაქო პირები. რუსეთის/სამხრეთ ოსეთის მხრიდან მოლაპარაკებს უძღვებოდა გენერალი ბორისოვი. რუსეთის/სამხრეთ ოსეთის მხარის მთავარი თხოვნა ეხებოდა რუსი მფრინავების, შემდეგ სხვა სამხედრო ტყვეების და ბოლოს სამხრეთ ოსეთის ბოევიკების, აგრეთვე 2008 წლის კონფლიქტთან არდაკავშირებით დაკავებული გენერალი დუმბაძის, და სამხრეთ ოსეთის სხვა პირების განთავისუფლებას, რომლებიც

[69] *იხ.* აბზ. 16 ზემოთ.
[70] *იხ.* აბზ. 33 ქვემოთ.
[71] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

გასამართლებული იყვნენ საქართველოს სასამართლოების მიერ სერიზული დანაშაულებისთვის და სასჯელს იხდიდნენ საქართველოში, მათ შორის პირები, რომელთაც ბრალი ედებოდათ 2005 წელს გორში პოლიციის შენობაზე თავდასხმაში.

30. თავდაპირველად ქართულმა მხარემ თანხმობა არ განაცხადა გენერალი დუმბაძის და სხვა სასჯელმისჯილი პირების გათავისუფლებაზე, კერძოდ, მათი, ვისაც 2008 წლის კონფლიქტამდე ჰქონდა სასჯელი მისჯილი ტერორისტული აქტებისთვის საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ამ ვითარებაში, რუსეთის/სამხრეთ ოსეთის მხარემ გამოიყენა დაცული პირების დაკავების ბერკეტი და დაიმუქრა, როგორც მათი გათავისუფლების პირობა,[72] რომ გააგრძელებდა აღნიშნული პირების პატიმრობაში დატოვებას იმისათვის, რომ ეიძულებინა საქართველოს ხელისუფლება, გაეთავისუფლათ სასჯელმისჯილი დამნაშავეები. 2008 წლის 21 აგვისტოს, 59 ქალი და ასაკოვანი პირი გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას და დაიდო პირობა კიდევ 100 სამოქალაქო პირის გათავისუფლებაზე იმ დროს, როდესაც მოხდა 50 ოსი მსჯავრდებულის სიის წარდგენა,[73] რომლებიც საქართველოს ციხეებში იხდიდნენ სასჯელს. საქართველოს მხარემ მოითხოვა დრო აღნიშნული სიის გადასამოწმებლად და იმის გადასაწყვეტად, გამოიყენებდა თუ არა იგი პრეზიდენტის შეწყალებას. რუსულმა/ოსურმა მხარემ კი ხაზი გაუსვა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში (აღნიშნული დამნაშავეების გათავისუფლებამდე), დაპირებული 100 სამოქალაქო პირის გათავისუფლება არ მოხდებოდა და, თუკი ისინი იზოლატორში გარდაიცვლებოდნენ, ეს იქნებოდა საქართველოს ბრალი.[74] ნაწილობრივ იმის გამო, რომ ღელავდა

[72] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

[73] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; GEO-OTP-0044-1051 (არაოფიციალური თარგმანი) ('*il reste encore une centaine de personnes, nous allons négocier pour les échanger contre les Ossètes qui sont en Géorgie*'). *იხ. ასევე* [რედაქტირებული].

[74] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

სამოქალაქო პირების ნდობის დაკარგვის გამო, ქართული მხარე საბოლოოდ დათანხმდა გენერალი დუმბაძის და ოსი დამნაშავეების გათავისუფლებას. 2008 წლის 27 აგვისტოს სულ მცირე 9 მათგანის გაცვლა მოხდა პრეზიდენტის შეწყალების და შესაბამისი საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე.[75]

31. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დაკავებული პირები გამოყენებულ იქნენ სავაჭრო ინსტრუმენტად მოლაპარაკებებში. გარდა ამისა, პალატა იხსენებს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო პირების დაკავების განზრახვა მოგვიანებით გაცვლისთვის გამოსაყენებლად მათი დაკავების მომენტში უკვე არსებობდა.[76]

32. პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დაცული პირების დაკავება ან დაკავების გაგრძელების მუქარა იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას გაეთავისუფლებინა ოსი დამნაშავეები წარმოადგენს მძევლების აყვანის დანაშაულს რომის სტატუტის მე-8(2)(a)(viii) მუხლის მიხედვით.

(iv) უკანონო გადაადგილება (სტატუტის მე-8(2)(a)(vii) მუხლი)

33. მტიცებულებათა[77] თანახმად, არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ 2008 წლის 21 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში,

---

[75] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]. *შეადარეთ* 2008 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული გაცვლის პროტოკოლი: GEO-OTP-0040-0078 (თარგმანი: GEO-OTP-0041-0278) *და პრეზიდენტის* განკარგულება, რომლის საფუძველზეც მან შეიწყალა მსჯავრდებული პირები GEO-OTP-0047-4386; GEO-OTP-0047-4399; GEO-OTP-0047-4403; GEO-OTP-0047-4393; GEO-OTP-0047-4397; GEO-OTP-0047-4407; GEO-OTP-0047-9968 GEO-OTP-0047-4411.

[76] *იხ.* აბზ. 17, n. **Error! Bookmark not defined.**, 39 ზემოთ.

[77] *იხ.* გაცვლის შემდეგი პროტოკოლები: GEO-OTP-0040-0066 (თარგმანი GEO-OTP-0041-0263); GEO-OTP-0040-0070 (თარგმანი: GEO-OTP-0041-0268); GEO-OTP-0041-0273 (თარგმანი: GEO-OTP-0041-0272); GEO-OTP-0041-0278 (თარგმანი: GEO-OTP-0041-0279). *იხ. ასევე* P-0246,

კერძოდ, 2008 წლის 21, 22, 24 და 27 აგვისტოს, სულ მცირე 110 პირი,[78] მათ შორის დაცული პირები,[79] იზოლატორიდან საქართველოს ხელისუფლებას გადაეცა. ისინი მოათავსეს „ოსურ“ და „რუსულ“ ავტობუსებში, და პოლიციელებისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების თანხლებით, გადაიყვანეს გორსა და კარალეთში, სადაც მოხდა მათი გადაცემა საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელთაც ისინი შემდგომ ქართული ავტობუსებით თბილისში გადაიყვანეს. სამხრეთ ოსეთის მხრიდან, გაცვლის ორგანიზება და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ბ-ნი ბორისოვის და ბ-ნი სანაკოევის მიერ, ხოლო აღსრულება რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლების, სამხრეთ ოსეთის პოლიციის და სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ოსების მხრიდან.

34. დანაშაულის ელემენტების თანახმად, უნდა მოხდეს დამნაშავის მიერ ერთი ან მეტი დაცული პირის სხვაგან გადაადგილება. რამდენადაც გადაადგილება „უკანონოა“, იგი მიმდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით. სტატუტის მე-8(2)(a)(vii)-1 მუხლი ეყრდნობა აკრძალვას, რომელიც ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლითაა დადგენილი.[80] ამდენად, იმისათვის, რომ განმარტოს აღნიშნული ომის დანაშაულის უკანონობის კომპონენტი, პალატამ უნდა გაითვალისწინოს ჟენევის მეოთხე კონვენციის ზემოხსენებული დებულება. ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლი კრძალავს ცალკეულ პირთა ან ადამიანების მასობრივ იძულებით გადაადგილებას, თუმცა

GEO-OTP-0044-1085; P-0231, GEO-OTP-0044-1355; P-0153, GEO-OTP-0028-0507; P-0161, GEO-OTP-0039-1003; P-0208, GEO-OTP-0037-0102; P-0359, GEO-OTP-0048-0017; P-0093, GEO-OTP-0047-9072; P-0209, GEO-OTP-0039-0007; P-0235, GEO-OTP-0039-0457; P-0266, GEO-OTP-0051-1033; P-0282, GEO-OTP-0043-1622; P-0354, GEO-OTP-0046-1589; P-0223, GEO-OTP-0037-0006; GEO-OTP-0002-7736, აბზ. 97; GEO-OTP-0002-7736.

[78] *იხ.* შუამდგომლობა, აბზ. 94 და მასში მითითებული მტკიცებულებები.

[79] *იხ.* აბზ. 16 ზემოთ.

[80] კნუტ დორმანი, დანაშაულის ელემენტები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მიხედვით: წყაროები და კომენტარი (კემბრიჯ იუნივერსიტი პრეს, 2002), გ. 106-109.

სრული ან ნაწილობრივი ევაკუაცია დაშვებულია „იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოსახლეობის უსაფრთხოებით ან განსაკუთრებული სამხედრო მიზეზებითაა განპირობებული“. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო პირების ქართული მხარისთვის გადაცემა არ შეიძლება ჩაითვალოს ევაკუაციად, რადგან აღნიშნული პირები გადაცემამდე დაკავებული იყვნენ; ამას გარდა, შესაბამის პერიოდსა და ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა.[81] პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებების თანახმად, აღნიშნული გადაადგილებები არ წარმოადგენს ამ ორ კონკრეტულ შემთხვევას.[82]

35. ამდენად, ერთი მხრივ, არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ გაცვლის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში დაპატიმრებული ეთნიკური ოსების გათავისუფლების უზრუნველყოფა იყო[83], მეორე მხრივ კი არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენდა ეთნიკურად ქართველად აღქმული მოსახლეობის სამუდამო განდევნა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან.[84]

---

[81] აღნიშნულ გაცვლას ადგილი ჰქონდა 2008 წლის 21 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში, ამდენად, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლისშეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერიდან და საომარი მოქმედებების შეწყვეტიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

[82] პალატა აღნიშნავს, რომ ჰუმანიტარული ორგანიზაციების გადადგილებაში ხელშეწყობას არ აქვს დატვირთვა გადაადგილების კანონიერების ან უკანონობის თვალსაზრისით. *იხ.* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი სტაკიჩის წინააღმდეგ,* განჩინება, 2003 წლის 31 ივლისი, IT-97-24-T, აბზ. 683.

[83] *იხ.* აბზ. 29 ზემოთ. P-0266, GEO-OTP-0051-1033; P-0208, GEO-OTP-0037-0102, აბზ. 111; P-0253, GEO-OTP-0050-0059, აბზ. 82; P-0485, GEO-OTP-0047-6110, აბზ. 151; P-0093, GEO-OTP-0047-9072, აბზ. 12-17; P-0161, GEO-OTP-0039-1003, აბზ. 124; P-0223, GEO-OTP-0037-0600, აბზ. 101, 122.

[84] როდესაც, 2008 წლის 26 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთის იმჟამინდელ დეფაქტო პრეზიდენტს, ედუარდ კოკოითს, ჰკითხეს, მიეცემოდათ თუ არა ქართველ სამოქალაქო პირებს დაბრუნების უფლება, მან საჯაროდ განაცხადა შემდეგი: „ჩვენ აღარ ვაპირებთ ვინმე შემოვუშვათ აქ. 18000-ზე მეტი ოსი ლტოლვილი საქართველოდან ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთში იმყოფება. ისინი სამხრეთ ოსეთში უნდა დაბრუნდნენ.“ (რუსული დედნის ფრანგული თარგმანი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გადმოსცემს აღნიშნულს „*Nous n'avons pas l'intention de laisser rentrer qui que ce soit.*'). GEO-OTP-0005-0100, გ. 0102. *იხ. ასევე* P-0354, GEO-OTP-0046-1589, აბზ. 177-183; P-0077, GEO-OTP-0017-0572, აბზ. 132-134; P-0139, GEO-OTP-0022-2002, აბზ. 211; GEO-OTP-0043-1118.

36. გარდა ამისა, პალატა აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენდეს და ამდენად ჩაითვალოს უკანონო გადაადგილებად, გადაადგილება უნდა იყოს ან (i) იძულებითი, ან (ii) ემყარებოდეს გადაადგილებული პირის გადაწყვეტილებას, რომელიც, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება რეალური ყოფილიყო.[85] რაც შეეხება (i) პუნქტს, მტკიცებულებების თანახმად, ამ შემთხვევაში გადაადგილებული პირებისთვის არ უკითხავთ, თანახმა იყვნენ თუ არა ისინი გადაადგილებაზე[86]. მათი სურვილის მიუხედავად,[87] ისინი უბრალოდ იძულებული იყვნენ, წასულიყვნენ. რაც შეეხება პუნქტ (ii), მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა დაკავებულმა პირმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც თანხმობა განაცხადა საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაცემაზე, პალატა მიიჩნევს, რომ გადაადგილების მომენტში არსებულმა გარემოებებმა[88] და იმ ფაქტმა, რომ დაკავებულ პირთათვის არ შეუთავაზებიათ სხვა რაიმე რეალური ალტერნატივა, ხელი შეუშალა მათი მხრიდან გადაადგილებაზე რეალურ თანხმობას. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების თანახმად, გადაადგილებული დაკავებული პირების უმეტესობას გამუდმებით ეუბნებოდნენ, რომ მოხდებოდა მათი „გათავისუფლება“ (ანუ „გადაადგილება“), თუმცა მათთვის არ მიუციათ გათავისუფლების შემდგომ სახლში დაბრუნების არჩევანი (გადაადგილების გარეშე):

---

[85] *იხ. მაგ.* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე, *პროკურორი ქრსტიჩის წინააღმდეგ,* განჩინება, 2001 წლის 2 აგვისტო, 98-33-T, აბზ. 528-530.

[86] P-0093, GEO-OTP-0047-9072, აბზ. 15; P-0208, GEO-OTP-0037-0102, აბზ. 111; P-0253, GEO-OTP-0050-0059, აბზ. 80-82; P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 259; P-0209, GEO-OTP-0039-0007, აბზ. 136; P-0228, GEO-OTP-0046-1679, აბზ. 160; P-0223, GEO-OTP-0037-0006, აბზ. 101.

[87] P-0231, GEO-OTP-0044-1355, აბზ. 110-111.

[88] *იხ.* აბზ. 21-24 ზემოთ. მაგალითად, ერთ-ერთმა მოწმემ მოგვიანებით ბრალდების მხარეს განუმარტა, რომ მისი დაკავების პირობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო, იმ პერიოდში იგი „ნებისმიერ დოკუმენტს“ მოაწერდა ხელს გათავისუფლების სანაცვლოდ. *იხ.* P-0194, GEO-OTP-0047-9627, აბზ. 40, 41.

ამდენად, მათი გათავისუფლების წინაპირობა მათ მიერ გადაადგილებაზე დათანხმებას ეფუძვნებოდა.[89]

37. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ სულ მცირე 110 პირის გადაადგილება, რომელთა უმრავლესობაც დაცული პირები იყვნენ, სტატუტის მე-8(2)(a)(vii) მუხლის მიხედვით, წარმოადგენს სამოქალაქო პირების უკანონო გადაადგილების დანაშაულს.

(c) ბ-ნი მინძაევის ქცევა და პირადი პასუხისმგებლობა

38. არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბ-ნი მინძაევი მსახურობდა სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე შესაბამის დროს[90], მათ შორის 2006 წლის დეკემბრიდან[91] 2008 წლის 31 ოქტომბრამდე.[92] 1992 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიციის კანონის მესამე კანონის პირველი და მესამე მუხლის შესაბამისად, პოლიცია წარმოადგენს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ნაწილს“ და „პოლიციის ძალები მთლიანობაში შინაგან საქმეთა მიინისტრის“ […] განკარგულებაშია […]’.[93] „იზოლატორის ხელმძღვანელი“, ბ-ნი გუჩმაზოვი, უშუალოდ ექვემდებარებოდა კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსსა და შინაგან საქმეთა მინისტრს.[94] ბ-ნი მინძაევი ხელმძღვანელობდა

---

[89] *იხ. მაგ.* P-0359, GEO-OTP-0048-0017, აბზ. 169-170; P-0208, GEO-OTP-0037-0102, აბზ. 107-108; P-0246, GEO-OTP-0044-1085, აბზ. 259.

[90] *იხ.*, მაგ., P-0194, GEO-OTP-0047-9627, აბზ. 47, 49, დაკავშირებული შემდეგ ვიდეოსთან: GEO-OTP-0040-0207; და P-0194, GEO-OTP-0032-1209, აბზ. 150; P-0218, GEO-OTP-0042-0207, აბზ. 34; P-0144, GEO-OTP-0024-0066, აბზ. 69, 152; P-0220, GEO-OTP-0042-0230, აბზ. 166, 171, 173, 215, 327, 337; P-0201, GEO-OTP-0046-0002, აბზ. 137.

[91] GEO-OTP-0047-1517 გვ. 1578.

[92] GEO-OTP-0040-0412 გვ. 0415.

[93] GEO-OTP-0047-2409.

[94] P-0218, GEO-OTP-0042-0207, გვ. 37-39.

სამინისტროს, რომელიც მდებარეობდა კაპეზეს შენობაში, სადაც მისი კაბინეტი იყო განთავსებული.[95]

39. პროკურორი აცხადებს, რომ სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხს აგებს თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულისთვის როგორც უშუალო ან/და არაუშუალო დამნაშავე, მის „მიერ კაპეზეს ზედამხედველებზე კონტროლის გამო“ […], რომელიც უზრუნველყოფდა დაკავებული პირების პატიმრობაში ყოფნას, აკონტროლობდა მათთან წვდომას და და მათი დაკავების პირობებს, ან, სტატუტის 25(3)(c) შესაბამისად, როგორც წამქეზებელი.[96]

40. დამადასტურებელი მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ჩვენებების თანახმად, კაპეზეს ზედამხედველების სულ მცირე ერთი ნაწილი, ან ისინი, ვინც დაკავებული პირები დააპატიმრა, მართლაც პოლიციის ოფიცრებს წარმოადგენდნენ.[97] სამხრეთ ოსეთში არსებული სისტემის მიხედვით, ეს ზედამხედველები ბ-ნ მინძაევს ექვემდებარებოდნენ.[98] დეფაქტო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა საჯაროდ განაცხადა, რომ შინგან საქმეთა სამინისტრო „იცავდა“ და „ზრუნავდა“ […] იმ „ეთნიკური ქართველების“ „უსაფრთხოებაზე“, ვინც დაკავებული იყვნენ „მათივე უსაფრთხოების მიზნით“.[99] ბ-მა მინძაევმა ასევე საჯაროდ გაამართლა ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა და აგრძელებდა აღნიშნული პირების პატიმრობაში ყოფნას იმის გამო, რომ მათ ესაჭიროებოდათ დაცვა დაბომბვისა და „ადამიანების რისხვისგან“, და ხაზი გაუსვა მისი სამინისტროს როლს დაკავების მომენტიდან

---

[95] P-0238, GEO-OTP-0041-0063, აბზ. 118. *იხ. ასევე* P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 285.
[96] შუამდგომლობა, აბზ. 115.
[97] P-0209, GEO-OTP-0039-0007, აბზ. 70; P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 217-219; P-0213, GEO-OTP-0038-0281, აბზ. 68; P-0235, GEO-OTP-0039-0457, აბზ. 94; P-0258, GEO-OTP-0042-0646, აბზ. 90; GEO-OTP-0043-1118.
[98] ამასთან დაკავშირებით, *იხ. ასევე* P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 268, 338; და P-0238, GEO-OTP-0041-0063, აბზ. 118, 120.
[99] GEO-OTP-0043-1118; GEO-OTP-0047-2490.

გაცვლამდე.[100] ბ-ნი მინძაევი იმყოფებოდა ადგილზე მაშინ, როდესაც დაკავებული პირები მივიდნენ იზოლატორში და მათ უთხრეს, რომ დაეფურთხებინათ და ფეხქვეშ გაეთელათ საქართველოს დროშა [რედაქტირებული].[101]. მტკიცებულებების თანახმად, ასევე არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბ-ნ მინძაევს ჰქონდა უფლებამოსილება იზოლატორში დაკავებული პირების გასათავისუფლებლად.[102]

41. პალატამ ასევე დაადგინა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბ-ნი მინძაევი აცნობიერებდა, რომ დაკავებულ პირთაგან სულ მცირე ერთი ნაწილი სამოქალაქო პირები იყვნენ, რომლებიც არ წარმოადგენდნენ რისკს უსაფრთხოებისთვის და ამდენად არ იყვნენ დაკავებული ჟენევის მეოთხე კონვენციის შესაბამისად; ამდენად, ის აგრეთვე აცნობიერებდა ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის საფუძველზეც აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ დაცულ პირებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად.

42. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პალატამ დაადგინა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ, სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხისმგებელია თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე როგორც დანაშაულის უშუალო ჩამდენი, მისი როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისა და კაპეზეს ზედამხედველებზე კონტროლის გამო, რომელთაც დააკავეს დაცული პირები კაპეზეს დაწესებულებებში, ან, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, როგორც წამქეზებელი.

---

[100] GEO-OTP-0047-1121, გვ. 1124; GEO-OTP-0047-1044, გვ. 1049; GEO-OTP-0041-0299, გვ. 0301-0302.
[101] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].
[102] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].

43. პროკურორი ამტკიცებს, რომ, სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხს აგებს წამების, არაადამიანური მოპყრობის, ადამიანის ღირსების შელახვის დანაშაულებზე, როგორც დანაშაულის არაუშუალო ჩამდენი, ან, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, როგორც წამქეზებელი.[103]

44. პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს საკმარისი გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბ-ნი მინძაევი ესწრებოდა ზოგიერთი დაკავებული პირის დაკითხვას,[104] მათ შორის, რიგ შემთხვევებში, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, ან მაშინ, როდესაც დაკავებული პირები განიცდიდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას,[105] [რედაქტირებული] [106] მათ შორის, [რედაქტირებული].[107] ერთ შემთხვევაში იგი დაიმუქრა [რედაქტირებული].[108] იგი აგრეთვე საქმის ყურში იყო დაკავების არასათანადო პირობების შესახებ, მათ შორის საკვებისა და წყლის მდარე ხარისხისა და არასაკმარისი რაოდენობის თვალსაზრისით.[109]

45. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, პალატას საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ ბ-ნი მინძაევი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის საფუძველზეც ზემოხსენებულ არასათანადო მოპყრობას და დაკავების პირობებს დაქვემდებარებულ პირებს ჰქონდათ დაცული პირების სტატუსი.

46. ის, რომ ბ-ნ მინძაევს (i) ექვემდებარებოდა კაპეზეს შენობაში განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტრო; (ii) იგი პირადად მონაწილეობდა დაკითხვებში და დაკავებული პირების სიტყვიერ

---

[103] შუამდგომლობა, აბზ. 106.
[104] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].
[105] [რედაქტირებული], GEO-OTP-0045-0348, აბზ. 291-314, კერძოდ, აბზ. 298. *იხ. ასევე* [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; და [რედაქტირებული].
[106] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული].
[107] [რედაქტირებული]; [რედაქტირებული]; *იხ. ასევე* [რედაქტირებული].
[108] [რედაქტირებული] და [რედაქტირებული]; *იხ. ასევე* [რედაქტირებული].
[109] P-0211, GEO-OTP-0045-0348, აბზ. 277-278. *იხ. ასევე* GEO-OTP-0044-1266; და GEO-OTP-0041-0299 გვ. 0302.

შეურაცხყოფაში; და (iii) და როგორც სამინისტროს ხელმძღვანელი ოფიციალური პირი ესწრებოდა არასათანადო მოპყრობას და მისი კაბინეტი მდებარეობდა იმავე შენობაში, სადაც აღნიშნული პირები იყვნენ დაკავებული, მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა [მისი მხრიდან] აღნიშნული დანაშაულების ჩადენის მიმართ „მორალურ მხარდაჭერას", ან „ოფიციალურ შემწყნარებლობას" მათ მიმართ. აღნიშნულის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ, სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხისმგებელია წამების, არაადამიანური მოპყრობის და ადამიანის ღირსების შელახვის დანაშაულებზე, როგორც დანაშაულის არაუშუალო ჩამდენი, ან, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, როგორც წამქეზებელი.[110]

47. პროკურორი აცხადებს, რომ, სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხისმგებელია მძევლების აყვანის დანაშაულზე როგორც საერთო მიზნის ხელშემწყობი. პროკურორი ასევე აცხადებს, რომ, სტატუტის 25(3)(a) შესაბამისად, ბ-ნი მინძაევი პასუხისმგებელია უკანონო გადაადგილების დანაშაულზე როგორც დანაშაულის არაუშუალო ჩამდენი, ან, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, როგორც წამქეზებელი, და, სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად, როგორც საერთო მიზნის ხელშემწყობი, რომელიც მოიცავდა უკანონო გადაადგილების დანაშაულებს.

48. პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებების თანახმად, მოქმედებდა საერთო მიზნის მქონე ჯგუფი, რომელსაც განზრახული ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული სამხრეთ ოსეთის

---

[110] შეეხება დროის შესაბამის მონაკვეთს, პალატა აცხადებს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ [რედაქტირებული]კაპეზეს მონახულების შემდგომ, დაკავებული პირების მიმართ მოპყრობა და დაკავების პირობები ოდნავ გაუნჯობესდა (*იხ.* აბზ. 25 ზემოთ). თუმცა, ნებისმიერი ამგვარი გაუნჯობესება გავლენას არ ახდენს პალატის დასკვნებზე [რედაქტირებული] ვიზიტ(ებ)ამდე ეჭვმიტანილის პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

პირების გათავისუფლების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი იმუქრებოდნენ კაპეზეში დაპატიმრებულ პირთა უფრო ხანგრძლივი დაკავებით. აღნიშნული ჯგუფი ასევე მიზნად ისახავდა, გაცვლის შედეგად, აღნიშნული ეთნიკურად ქართველებად აღქმული მოსახლეობის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე გადაადგილებას. პალატა ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საერთო მიზნის განხორციელება გულისხმობდა დანაშაულების ჩადენას, კერძოდ, მძევლების აყვანასა და სამოქალაქო პირების (დაცული პირების) უკანონო გადაადგილებას. პალატა აღნიშნავს, რომ დეფაქტო პრეზიდენტი ბ-ნი კოკოითი[111], ბ-ნი ბორისოვი და ბ-ნი სანაკოევი[112] წარმოადგენდნენ იმ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც მოქმედებდნენ ამ საერთო მიზნისთვის და განზრახული ჰქონდათ, გამოეყენებინათ დანაშაულებრივი გზები (მძევლების აყვანა და უკანონო გადაადგლება) აღნიშნული მიზნის მისაღწევად.[113]

49. მტკიცებულებების თანახმად, გადაადგილებული პირები დაკავებული იყვნენ კაპეზეში და კაპეზეს ზედამხედველების ნაწილი, ან ზოგიერთი მათგანი, ვინც ახორციელებდა დაკავებული პირების გადაყვანას, პოლიციის ოფიცრებს წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ბ-ნი მინძაევი საქმის ყურში იყო, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და ხდებოდა სამოქალაქო პირების გადაცემა „ქართული მხარისთვის“.[114] გადმოცემის

---

[111] GEO-OTP-0005-0100, გვ. 0102; GEO-OTP-0028-0187.

[112] *იხ.* აბზ. 29 ზემოთ.

[113] პალატა მიიჩნევს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ბ-ნი ბორის ჩოჩიევი და ბ-ნი თაიმურაზ ხუგაევი აღნიშნული ჯგუფის ნაწილი იყვნენ. ბ-ნ ბორის ჩოჩიევთან დაკავშირებით იხ. შუამდგომლობა, აბზ.111, n. 295, [რედაქტირებული] მიმართებით, [რედაქტირებული], [რედაქტირებული] [რედაქტირებული] იხ. კერძოდ, [რედაქტირებული][რედაქტირებული][რედაქტირებული], რაც, ცხადყოფს, რომ სხვადასხვა დროს იგი იმყოფებოდა კაპეზეს დაკავების დაწესებულებაში ან იმას, რომ მას სურდა, ოსი დამნაშავეების ოსეთში დაბრუნება, მაგრამ არ ჩანს, რომ იგი იზიარებდა განზრახვას, რომ გამოეყენებინა დანაშაულებრივი მეთოდები აღნიშნული მიზნის მისაღწევად. თაიმურაზ ხუგაევთან დაკავშირებით იხ. შუამდგომლობა, აბზ. 111, n. 296 და მასში მოყვანილი მტკიცებულებები.

[114] GEO-OTP-0047-1121, გვ. 1124; P-0238, GEO-OTP-0041-0063, აბზ. 105-108.

თანახმად, მან საჯაროდ აღიარა, რომ „მათ“ „შეკრიბეს აღნიშნული სოფლების ყველა დარჩენილი მოსახლე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში და ვიცავდით მათ მანამ, სანამ ისინი ქართულ მხარეს არ გადავეცით უცხოეთის წარმომადგენლების მეშვეობით.“[115] ამგვარად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბ-მა მინძაევმა იცოდა და განზრახული ჰქონდა დაკავებული პირების გადაყვანა და აცნობიერებდა იმას, რომ გადაყვანილ პირთა ნაწილი დაცულ პირებს წარმოადგენდნენ. მისი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებამოსილებების გათვალისწინებით, და იმის გამო, რომ იგი უზრუნველყოფდა აღნიშნული დაცული პირების კაპეზეს დაწესებულებებში დაკავებას და მათ გადაყვანას კაპეზეს ბადრაგების მეშვეობით, ბ-მა მინძაევმა ხელი შეუწყო „ნებისმიერი სხვა გზით“ საერთო მიზნის განხორციელებასა და, სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად, მძევლების აყვანისა და უკანონო გადაადგილების დანაშაულებს, ან, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებელია უკანონო გადაადგილების დანაშაულზე როგორც წამქეზებელი.

50. პალატა მიიჩნევს, რომ ბ-ნი მინძაევი მოქმედებდა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღწერილი კონკრეტული დანაშაულების ჩადენის მიზნითა და ცოდნით და აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელმაც განაპირობა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობა.

51. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ბ-ნ მინძაევს პასუხისმგებლობა ეკისრება შემდეგ დანაშაულებში: (i) თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სტატუტის მე-8(2)(a)(vii) მუხლი), სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, როგორც

[115] GEO-OTP-0047-1044. *იხ. ასევე* GEO-OTP-0041-0299 გვ. 0301-0302.

დანაშაულის უშუალო და არაუშუალო ჩამდენს, ან როგორც წამქეზებელს, სტატუტის 25(3)(c) მუხლის თანახმად; (ii) წამება (სტატუტის 8(2)(a)(ii) მუხლი), არაადამიანური მოპყრობა (სტატუტის 8(2)(a)(ii) მუხლი), ადამიანის ღირსების შელახვა (სტატუტის 8(2)(b)(xxi) მუხლი), სტატუტის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, როგორც დანაშაულის უშუალო და არაუშუალო ჩამდენს, ან, სტატუტის 25(3)(c) შესაბამისად, როგორც წამქეზებელს, (iii) მძევლების აყვანა (სტატუტის 8(2)(a)(viii) მუხლი) სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად; (iv) უკანონო გადაადგილება (სტატუტის 8(2)(a)(vii) მუხლი), სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად.

2. არის თუ არა აუცილებელი ბ-ნი მინძაევის დაკავება (სტატუტის 58(1)(b) მუხლი)

52. პროკურორი მიიჩნევს, რომ ბ-ნი მინძაევის დაკავება აუცილებელია მისი სასამართლოს წინაშე წარდგენის უზრუნველსაყოფად. იგი აღნიშნავს, რომ „დანაშაულთა მიზანმიმართულ და სასტიკ ხასიათს, მათ გამოყენებას პოლიტიკის იარაღად და მათ ჩადენას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ეგიდით მივყავვართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ [ბ-ნი მინძაევი] არ დაემორჩილება სასამართლოს გამოძახებას“.[116]

53. პალატა აღნიშნავს, რომ ადრეულ ეტაპზე პროკურორს არ შეუტყობინებია მათთვის, რომ განზრახული ჰქონდა მათთვის ეჭვმიტანილის დაკავების ორდერის გაცემის თხოვნით მიემართა და ხაზს უსვამს ამგვარი შეტყობინების გაგზავნის მნიშვნელობას.[117] პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მოხდა თხოვნის გასაჯაროება.

54. პროკურორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის, მათ შორის რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების

[116] შუამდგომლობა, აბზ. 134.
[117] *იხ.* წესი 53(2) პროკურორის ოფისის წესდებისა.

საჯარო განცხადებების[118] შეფასების შედეგად, პალატამ მიიჩნია, რომ, სტატუტის 58(1)(b)(i) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი მინძაევის დაკავება აუცილებლობას წარმოადგენს მისი სასამართლოს წინაშე წარდგენის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მიზეზების გამო, პალატა ამგვარად

გამოსცემს დაკავების ორდერს **ბ-ნ მიხაილ მაირამოვიჩ მინძაევზე,** რუსეთის მოქალაქეზე, დაბადებულზე ვლადიკავკაზში, რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთის რეგიონში, 1955 წლის 28 სექტემბერს, რომის სტატუტის 25(3)(a) მუხლის თანახმად, მისი სავარაუდო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის როგორც დანაშაულის უშუალო და არაუშუალო ჩამდენზე, ან სტატუტის 25(3)(c) შესაბამისად, როგორც წამქეზებელზე, თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის (სტატუტის 8(2)(a)(vii) მუხლი), წამების და არაადამიანური მოპყრობისთვის (სტატუტის 8(2)(a)(ii) მუხლი) და ადამიანის ღირსების შელახვისთვის (სტატუტის 8(2)(b)(xxi) მუხლი); და აგრეთვე, სტატუტის 25(3)(c) მუხლის შესაბამისად, როგორც წამქეზებელზე, ან სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად, როგორც ხელშემწყობზე ნებისმიერი სხვა გზით, სამოქალაქო პირების გადაადგილებაზე (სტატუტის 8(2)(a)(vii) მუხლი); და მისი სავარაუდო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის, სტატუტის 25(3)(d)(ii) მუხლის შესაბამისად, როგორც ნებისმიერი სხვა გზით მძევლების აყვანის ხელშემწყობზე (სტატუტის 8(2)(a)(viii) მუხლი), რომლებიც წარმოადგენენ ომის დანაშაულებს, ჩადენილს 2008 წლის 8 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში, მთლიანად, ან ნაწილობრივ, საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ეს აღნიშნულ დაკავების ორდერშია აღწერილი;

[118] შუამდგომლობა, აბზ. 135.

მიმართავს სამდივნოს ხელმძღვანელს, რომ მომზადდეს აღნიშნული ორდერის რუსული და ქართული თარგმანები და გადაეცეს ისინი რუსეთის და საქართველოს საელჩოებს სასამართლოს ადგილსამყოფელში;

იღებს გადაწყვეტილებას, რომ იმ შემთხვევაში, თუკი, პროკურორის მითითებით, წარმოიშვება შესაბამისი ვითარება, სამდივნოს ხელმძღვანელი: (i) მოამზადებს თხოვნას თანამშრომლობაზე, რომლის მიზანიც იქნება ბ-ნი მინძაევის დაკავება და სასამართლოსთვის გადმოცემა. სტატუტის 89(1) და 91-ე მუხლების, და სამართალწარმოების და მტკიცებულებების მარეგულირებელი წესების მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნულ თხოვნას თანდართული ექნება შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები; (ii) სტატუტის 87-ე მუხლის შესაბამისად, პროკურორთან შეთანხმებისა და კონსულტაციის საფუძველზე, აღნიშნული თხოვნა გადაეცემა ნებისმიერი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფლებას, ან ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა მათ ითანამშრომლონ სასამართლოსთან ბ-ნი მინძაევის დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის თხოვნის აღსრულების მიზნით; და (iii) თხოვნის გადაცემიდან არაუგვიანეს 15 დღისა გადმოგვეცემა ანგარიში თანამშრომლობის თხოვნის აღსრულების სტატუსთან დაკავშირებით;

მიმართავს სამდივნოს ხელმძღვანელს, რათა მან, პროკურორთან კონსულტაციისა და შეთანხმების საფუძველზე, სტატუტის 89(3) მუხლის შესაბამისად, მოამზადოს და გადასცეს ნებისმიერ შესაბამის სახელმწიფოს თხოვნა მისი ტერიტორიის გამოყენებით გადაყვანის თაობაზე, გადაცემის შესაბამისი თხოვნა, ან, სტატუტის 92 მუხლის შესაბამისად, შესაბამისი თხოვნა წინასწარ დაკავებაზე, რისი აუცილებლობაც შესაძლოა წარმოიშვას ბ-ნი მინძაევის სასამართლოსთვის გადმოსაცემად;

ავალებს პროკურორის ოფისს, სამდივნოს გადმოსცეს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს დაკავებისა და

სასამართლოსთვის გადმოცემის თხოვნის აღსრულებას, და აგრეთვე ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მოხდება რისკების შეფასება დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის თხოვნის გადაცემასთან დაკავშირებული დაზარალებული პირებისა და მოწმეებისთვის;

მიმართავს სამდივნოს ხელმძღვანელს, რათა მან მოახდინოს, პირველ რიგში, აღნიშნული გადაწყვეტილების შეტანა შესაბამისი სიტუაციის პროტოკოლში, გახსნას საქმის პროტოკოლი და მოახდინოს შუამდგომლობისა და მისი დანართების გადატანა სიტუაციის პროტოკოლიდან საქმის პროტოკოლში მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილი ნებაყოფლობით გამოცხადდება, ჩაბარდება, ან მოხდება მისი დაკავება.

მომზადებულია ინგლისურ ენაზე. რუსული, ქართული და ფრანგული თარგმანები მოგვიანებით გამოქვეყნდება. ინგლისური ვერსია წარმოადგენს ავთენტური იურიდიული ძალის მქონეს.

სხდომის თავჯდომარე, მოსამართლე პიტერ კოვაჩი

მოსამართლე რეინე ადელაიდე

სოფი ალაპინი-განსუ

მოსამართლე მარია დელ

სოკორო ფლორეს ლიერა

თარიღი: 2022 წლის 30 ივნისი, ხუთშაბათი

ჰაგა, ნიდერლანდები